



პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების
პროგრამების განხორციელების უფლების მიმნიჭებელი
საბჭოს გადაწყვეტილება
ქ. თბილისი



MES 7 22 0000997120



05/09/2022

შპს ქართული ღვინის გილდიაში „ღვინის წარმოების ქართული ტრადიციული ტექნოლოგიები“ პროფესიული გადამზადების პროგრამის ფარგლებში განხორციელებულ მონიტორინგთან დაკავშირებით ადმინისტრაციული წარმოების შეწყვეტისა და „შპს ქართული ღვინის გილდიის პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მოპოვების შესახებ“ პროფესიული მომზადების/გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მიმნიჭებელი საბჭოს 2020 წლის 13 აპრილის №337145 გადაწყვეტილებაში ცვლილების შესახებ

იურიდიული პირის მიერ წარმოდგენილი შუამდგომლობის, დარგის ექსპერტის დასკვნის, პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მიმნიჭებელი საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის შესაბამისად,

საბჭომ გადაწყვიტა:


1. შეწყდეს ადმინისტრაციული წარმოება შპს ქართული ღვინის გილდიაში (ს/კ: 405297423) „ღვინის წარმოების ქართული ტრადიციული ტექნოლოგიების“ პროფესიული გადამზადების პროგრამის ფარგლებში განხორციელებულ მონიტორინგთან დაკავშირებით.
2. ცვლილება განხორციელდეს „შპს ქართული ღვინის გილდიის პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მოპოვების შესახებ“ პროფესიული მომზადების/გადამზადების პროგრამების განხორციელების უფლების მიმნიჭებელი საბჭოს 2020 წლის 13 აპრილის №337145 გადაწყვეტილებაში, კერძოდ გადაწყვეტილების პირველი პუნქტით გათვალისწინებული დანართი ჩამოყალიბდეს თანდართული რედაქციით (დანართი).

3. პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მიმნიჭებელი საბჭოს 2022 წლის 5 სექტემბრის №994717 ოქმის მეექვსე ნაწილი ცნობილ იქნას ამ გადაწყვეტილების განუყოფელ ნაწილად.
4. პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მიმნიჭებელი საბჭოს გადაწყვეტილების გასაჩივრება შესაძლებელია მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში სარჩელის შეტანის გზით. მისამართი: თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კილომეტრი №6.

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
პროფესიული მომზადების
პროფესიული გადამზადების პროგრამების უფლების მიმნიჭებელი საბჭო
საბჭოს თავმჯდომარე
ქუჩულორია მარიამ



სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
პროფესიული მომზადების
პროფესიული გადამზადების პროგრამების უფლების მიმნიჭებელი საბჭო
საბჭოს მდივანი
გამყრელიძე გიორგი



პროგრამის კოდი	პროგრამის დასახელება	პროგრამის სახე	ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს დონე	პროგრამის ხანგრძლივობა კვირებში	სწავლების ენა	მსმენელთა ზღვრული რაოდენობა	პროგრამის განხორციელების ადგილი
00425	ღვინის წარმოების ქართული ტრადიციული ტექნოლოგიები	პროფესიული გადამზადება	მეხუთე	19	ქართული	21	ქ. თბილისი, პავლე ინგოროყვას ქ. № 17 / 9 აპრილის ქ. №5